ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №6

დაბა ქედა **25 დეკემბერი 2020 წელი**

სხდომა დაიწყო 16:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 16:10 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა: რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
როსტომ შერვაშიძე - კომისიის წევრი
ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი;
კარლო თურმანიძე - კომისიის წევრი

სხდომას არ ესწრებოდა:
გენადი არძენაძე - კომისიის წევრი;
ბაქარ ბარამიძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდა:
საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრთა
სარეგისტრაციო ფურცელი

25.12.2020 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	რეზო თურმანიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	კარლო თურმანიძე	კომისიის წევრი	
3	ბაქარ ბარამიძე	კომისიის წევრი	
4	როსტომ შერვაშიძე	კომისიის წევრი	
5	გენადი არძენაძე	კომისიის წევრი	
6	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის წესრიგი:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 4 დეკემბერს №45 განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება **„ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.** განკარგულების შესაბამისად დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებების წარდგენის ვადად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში განისაზღვრა 2020 წლის 23 დეკემბერი დღის 18 საათამდე. აღნიშნულ პერიოდში 2020 წლის 10 დეკემბერს ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილია „ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი განახლებული სახით (შემოსული დოკუმენტი №109/04; 10.12.2020 წელი).

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოს მიერ გამოთქმული შენიშვნები ნაწილობრივ ასახულია პროექტში, შესაბამისად მიზანშეწონილია საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 4
წინააღმდეგი: 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კომისიის თავმჯდომარე: რეზო თურმანიძე